სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №5

ქ. თბილისი **2018 წლის 10 ივლისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. ბაქრბაქაძე ხათუნა 5. გოგინავა უშანგი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. მაჭავარიანი ლია 8. გეგჭკორი არნოლდი 9. ხაჩიძე მანანა 10. სამსონია შოთა 11. ბასილაია ანანო 12. თუმანიშვილი გიორგი 13. კვირიკაშვილი ბახვა 14. მარგველაშვილი ვლადიმერი 15. ქიტუაშვილი თინა 16. ჩხაიძე ზურაბი 17. წერეთელი მარი 18. ტუკვაძე ავთანდილი 19. ლორთქიფანიძე ლევანი 20. ჟვანია ირინე 21. თოფურია სალომე 22. ლორია კახაბერი 23. გორდეზიანი ლევანი 24. გელოვანი ნანი 25. თაბუაშვილი აპოლონი 26. ბრაჭული ირაკლი 27. ოთხმეზური გიორგი 28. პაიჭაძე თამარი 29. შარაბიძე თამარი 30. კეჟერაშვილი შოთა 31. ღარიბაშვილი ირაკლი 32. სუმბაძე ციური 33. ბაშალეიშვილი ლევანი 34. ქადეიშვილი თორნიკე 35. წაქაძე სევერიანი 36. ხომერიკი გიორგი 37. რუსიაშვილი გიორგი 38. იოსელიანი ხათუნა 39. ახალბედაშვილი ლალი 40. ხეცურიანი ნათელა 41. ხუციშვილი მარინე 42. ნემსაძე ადა 43. ჯობავა თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შარვაშიძე გიორგი 2. ავაზაშვილი ნიკოლოზი 3. ამირანაშვილი ავთანდილი 4. ბერძენიშვილი ამირანი 5. გამყრელიძე ამირანი 6. გონაშვილი ვასილი 7. გოცირიძე დავითი 8.ზაუტაშვილი მარინე 9. კერესელიძე დავითი 10. კვინიკაძე მურმანი 11. ლობჟანიძე გია 12. მერკვილაძე დავითი 13. მექვაბიშვილი ელგუჯა 14. მინდორაშვილი მარინე 15. ნადირაძე ქეთევანი 16. ფერაძე გოჩა 17. ფურთუხია ომარი 18. ქურდაძე ირინე 19. ყულიჯანაშვილი აკაკი 20. შავლაყაძე ნუგზარი 21. ცაგარელი ზურაბი 22. ხუსკივაძე მამუკა 23. ოკრიბელაშვილი ნინო 24. ყარალაშვილი თამაზი 25. ცინცაძე ნოდარი 26. შანიძე რევაზი (დანართი 2)

სხდომის დასაწყისში წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიმიტრი გეგენავას განცხადება, მისი წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ. გამომდინარე აქედან, როგორც სპიკერმა აღნიშნა, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე სხდომის მდივნის არჩევის აუცილებლობაც. შესაბამისად, სპიკერმა დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი, ზემოაღნიშნული ორი საკითხის გათვალისწინებით.

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიმიტრი გეგენავას განცხადების განხილვა
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირაკლი საღარეიშვილი)
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ნინო ფარესაშვილი)
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: რამაზ ხომერიკი)
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: ირაკლი ღარიბაშვილი)
7. "სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 ივლისის №167/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
8. „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №125/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: რობერტ გოლეთიანი)
9. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მაისის №134/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
10. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №154/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
11. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის

გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №158/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

12. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №159/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
13. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №160/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
14. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათის წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №161/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
15. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და განკარგვის თაობაზე თანხმობის გაცემა (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
16. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: ქეთევან ხუციშვილი)

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად

1 .წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიმიტრი გეგენავას განცხადება, მისი

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ.

1.1.თავდაპირველად კენჭი ეყარა **დიმიტრი გეგნავას** წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ბატონი დიმიტრი გეგენავას განცხადება, მისი წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (დანართი 3)

1.2 ცალკე ეყარა კენჭი ბატონი დიმიტრი გეგენავას წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს ბატონი დიმიტრი გეგენავას განცხადება, მისი წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (დანართი 3).

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივნად წარმოადგინა ქალბატონი თამარ პაიჭაძის კანდიდატურა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:
წარმომადფენლობითი სხდომის მდივნად არჩეული იქნა ქალბატონი თამარ პაიჭაძე

3.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები. როგორც

მომხსენებელმა განმარტა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11
სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა.
შემოსავლით ნაწილში ცვლილება ძირითადად განპირობებულია, 2017 წლის გარდამავალი ნაშთის (ეკონომიკური შემოსავლები, ეროვნული სამეცნიერო გრანტები, საერთაშორისო გრანტები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება) დაზუსტებით; შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ასევე 26 მაისის ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების დაზუსტებით. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამისათვის ,,ვისწავლოთ ქართული''თანხების გამოყოფით.
თსუ 2018 წლის ნაერთ ბიუჯეტში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიუჯეტები გაწერილი და დამტკიცებული იყო (11 558 114 ლარი) მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, რომლებმაც განიცადა დაზუსტება (,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 05 თებერვლის №103; 04 აპრილის №330; 27 აპრილის №397 ბრძანებები) და განისაზღვრა 12 507 698 ლარით, რაც უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტში გაიწერა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური კალასიფიკაციის მუხლების გათვალისწინებით, ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 4 აპრილის №330 ბრძანებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთლიანად დაფინანსდა მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხარჯები-318645 ლარით და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მატემატიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხარჯები 391480 ლარით. გამოთავისუფლებული თანხები გადანაწილდა დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის შესაბამის მუხლებში.
რაც შეეხება ,,სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებს'' (ეკონომიკური საქმიანობიდან), ცვლილება უმნიშვნელოა და ძირითადად შეეხო 2017 წლის გარდამავალი ნაშთის და მოსალოდნელი შემოსავლის დაზუსტებას, კერძოდ, 2017 წლის მეოთხე კვარტალში ჩამოსარიცხი სასწავლო გრანტი გადმოირიცხა 2018 წლის იანვრის თვეში. ასევე, თანხები გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ისე, რომ ბიუჯეტის პროექტის ასიგნებათა სრული მოცულობა არ შეცვლილა.
ამდენად, 2018 წლის უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი შემოსავლების ნაწილში გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 84 658 270 ლარით, ხოლო გადასახდელები (მთლიანი ასიგნებანი) -84 658 270 ლარით.
ბიუჯეტში განსახორციელებელი ზემოაღნიშნული ცვლილებები, როგორც

შემოსავლების ისე ხარჯვით ნაწილში დეტალურადაა ასახული დანართ №2-ში. დასამტკიცებლად წარმოდგენილია დანართი 1, ხოლო დანართი 2 საცნობარო ხასიათისაა.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მიმართა წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების მხარდაჭერის თხოვნით.

საკითხზე აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილება თანდართული სახით (დანართი 4).

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ფარესაშვილმა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები და განმარტა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №8) ცვლილებები განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში. აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები უკავშირდება დოქტორანტურის დებულების ცვლილებებს და სადისერტაციო საბჭოს შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო აღარ იარსებებს იმ ფორმით, როგორც იყო.

შესაბამისად, მომხსენებელმა ითხოვა საკითხის მხარდაჭერა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 5).

5. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რამაზ ხომერიკმა, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები და განმარტა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №9) ცვლილებები განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში. აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია იმ ახალი რეგულაციებით, რომლის მიხედვითაც უნდა გაუქმდეს არსებული სადისერტაციო საბჭოები და ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიები. შესაბამისი ცვლილებები კი უნდა აისახოს დებულებაში.

შესაბამისად, მომხსენებელმა ითხოვა საკითხის მხარდაჭერა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 6).

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ დღემდე მათ დებულება არ ჰქონდათ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტენსიური მუშაობის შედეგად, კონსესუსის საფძველზე, შემუშავდა წარმოდგენილი დებულება
და ითხოვა მისი მხარდაჭერა.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონ ლევან ლორთქიფანიძემ დასვა შეკითხვა, თუ რამდენად თავსებადია და რეალური ერთ საუნივერსიტეტო სივრცეში ორი ბიბლიოთეკის არსებობა და ხომ არ ხდება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფუნქციების დუბლირება.
აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, სადც თავიანი აზრი დააფიქსირეს თავად მომხსენებელმა და ასევე აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ ამირანაშვილმა. გამომსვლელების მხრიდან, კიდევ ერელ ხაზი გაესვა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მნიშვნელობასა და როლს, როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო კუთხით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 7).

7. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ბატონ არჩილ კუკულავას მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 ივლისის №167/2018 დადგენილება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ბატონი გიორგი ოთხმეზურის კითხვაზე, თუ რატომ ვაუქმებთ ამ ერთეულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულმა სკოლამ ვერ შესძლო ფინანსური რესურსების მოზიდვა და იგი აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მისი გაუქმების საკითხი, რაც აისახა აკადემიური საბჭოს წარმოდგენილ დადგენილებაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 ივლისის №167/2018 დადგენილება (დანართი 8).

8. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №125/2018 დადგენილება. მომხსენებელმა, ბატონმა რობერტ გოლეთიანმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით ცენტრის საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა საგანმანათლებლო (სასერტიფიკატო) კურსების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტში განხორციელების გზით საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცეს გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის.

საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქვეს, ააკდემიური საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორმა, ბატონმა გიორგი შარვაშიძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ბატონებმა არნოლდ გეგეჭკორმა და ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №125/2018 დადგენილება (დანართი 9).

9. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მაისის №134/2018 დადგენილება. მანვე აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილება ეხება მხოლოდ ინსტიტუტის სტატუსს და ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დღის წესრიგით გათვალისიწული მომდევნო 5 საკითხი, ანალოგიური ხასიათისაა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მაისის №134/2018 დადგენილება (დანართი 10).

10. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №154/2018 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №154/2018 დადგენილება (დანართი 11).

11. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №158/2018 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №158/2018 დადგენილება (დანართი 12).

12. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №159/2018 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №159/2018 დადგენილება (დანართი 13).

13. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №160/2018 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №160/2018 დადგენილება (დანართი 14).

14. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათის წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №161/2018 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათის წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №161/2018 დადგენილება (დანართი 15).

15. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წარმოადგინა საკითხი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და განკარგვის თაობაზე, კერძოდ, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, მან ითხოვა თანხმობა უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისა და ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი განკარგვის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისა და ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი განკარგვის თაობაზე (დანართი 16).

16. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იქნა დასამტკიცებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულება.

მომხსენებელმა, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ქეთევან ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დებულების მიღება აუცილებელია საბჭოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. აპარატი განახორციელებს სადისერტაციო საბჭოს

საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სადისერტაციო საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

შესაბამისად, მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მიმართა წარმოდგენილი დებულების მხარდაჭერის თხოვნით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ლევან გორდეზიანის შეკითვაზე, თუ რამდენი ადამიანით იქნება დაკომპლექტებული საბჭო, მომხსენებელმა განმარტა, რომ ყველა ფაკულტეტიდან იქნება თითო წარმომადგენელი, როგორც მისთვის ცნობილია დამატებითი ანაზღაურების გარეშე, ხოლო აპარატის ხელმძღვანელს ექნება შესაბამისი ანაზღაურება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0
მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულება, წარმოდგენილი სახით (დანართი 17).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი **კახაბერ ლორია**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანი **თამარ პაიჭაძე**

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2018 წლის 10 ივლისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

შაბურიშვილი შოთა

თოდუა ნუგზარი

აბესაძე ნინო

ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

სოსიაშვილი თათია

ბერუაშვილი ანზორი

გაგელიძე ტარიელი

შვანგირაძე მათე

შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგინავა უშანგი

თუთბერიძე ბეჟანი

მაჭავარიანი ლია

გეგჭკორი არნოლდი

ხაჩიძე მანანა

სამსონია შოთა

სტუდენტები

ბახტურიძე პაატა

ბასილაია ანანო

კვირიკაშვილი ბაჩანა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი

ცისკაძე მარიამი

თოდუა ნონა

გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

კვირიკაშვილი ბახვა

ონიანი თამარი

ოქიტაშვილი გიორგი

ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი

ქიტუაშვილი თინა

ხოდელი ნოდარი

ჩხაიძე ზურაბი

სტუდენტები:

ჩხაიძე თამარი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

წერეთელი მარი

შამილიშვილი მანანა

ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

ლორთქიფანიძე ლევანი

საბაური შალვა

შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე

ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები

დადეშქელიანი ბექა

თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი

გორდეზიანი ლევანი

გელოვანი ნანი

თაბუაშვილი აპალონი

ბრაჭული ირაკლი

ოთხმეზური გიორგი

პაიჭაძე თამარი

შარაბიძე თამარი

სტუდენტები

ჯეგბაშვილი ნანა

მინდიაშვილი თეონა

სამხარაძე ლაშა

კეჟერაშვილი შოთა

მურღულია ირაკლი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემათიკის ინსტიტუტი

ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტუტუტი

ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

წემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ჯობავა თამარი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2018 წლის 10 ივლისი

- შარვაშიძე გიორგი
- ავაზაშვილი ნიკოლოზ
- ამირანაშვილი ავთანდილ
- ანანიაშვილი ნათელა
- ბერძენიშვილი ამირან
- გამყრელიძე ერეკლე
- გონაშვილი ვასილ
- გოცირიძე დავით
- ზაუტაშვილი მარინე
- იმნაძე პაატა
- კერესელიძე დავით
- კვინიკაძე მურმან

- კუხიანიძე ალექსანდრე
- ლობჟანიძე გია
- ლომიძე გაგა
- მაისაშვილი ხათუნა
- მერკვილაძე დავით
- მესტვირიშვილი მაია
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- მინდორაშვილი მარინე
- ნადირაძე ქეთევან
- ოკრიბელაშვილი ნინო
- სანაძე რუსუდან
- სილაგაძე ავთანდილ
- ფერაძე გოჩა
- ფურთუხია ომარ
- ქიტიაშვილი ანასტასია

- ქურდაძე ირინე
- ღვედაშვილი გიორგი
- ყარალაშვილი თამაზ
- ყულიჯანიშვილი აკაკი
- შავლაყაძე ნუგზარ
- შანიძე რევაზი
- ცაგარელი ზურაბ
- ცინცაძე ნოდარ
- ხარშილაძე ირმა
- ხუსკივაძე მამუკა

წარმომადგენლობითი საბჭოს ხდომის ოქმი №5
დანართი №3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის, დიმიტრი გეგენავას

განცხადება

გთხოვთ, გამათავისუფლოთ წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის თანამდებობებიდან.

პატივისცემით,

დიმიტრი გეგენავა

თბილისი

09.07.2018

13083/10-02. 10.07.18

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	ლარი
● ნაშთი	**12559 856**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	-238 922
მათ შორის: ნაშთი (საგანმანათლებლო, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და საიუბილეო ღონისძიებების)	6844 501
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	5001 163
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	953 114
● შემოსავლები	**72098 414**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	52967 539
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	12507 698
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.	1515 814
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	107 840
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან -სახელმწიფო სტიპენდია და ზვიად გამსახურდიას და სულხან -საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია	965 000
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	2187 637
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	1846 886
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**84658 270**
გადასახდელები (ნაერთი)	
სულ ასიგნება	**84658 270**
I ხარჯები	**75396 410**
● შრომის ანაზღაურება	**36219 266**
● საქონელი და მომსახურება	**25940 145**
● სუბსიდიები	**3643 120**
● გრანტები	**230 000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**157 103**
● სხვა ხარჯები	**9206 776**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**9261 860**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**52728 617**
I ხარჯები	**52137 617**
● შრომის ანაზღაურება	**27503 797**
● საქონელი და მომსახურება	**20283 320**
●გრანტები	**155 000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**150 000**
● სხვა ხარჯები	**4045 500**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**591 000**

მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	12507 698
I ხარჯები	11121 873
● შრომის ანაზღაურება	8715 469
● საქონელი და მომსახურება	2353 865
●გრანტები	15 000
●სოციალური უზრუნველყოფა	7 103
● სხვა ხარჯები	30 436
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1385 825
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში და ,,ზვიად გამსახურდიას სახელობის'' პრეზიდენტის ფონდის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	965 000
I ხარჯები	965 000
● სხვა ხარჯები	965 000
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-,, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და საიუბილეო ღონისძიებების''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (II)	8360 315
I ხარჯები	1695 280
● სუბსიდიები	1695 280
II არაფინანსური აქტივების ზრდა	6665 035
მათ შორის: პრეზიდენტის ფონდის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	107 840
I ხარჯები	107 840
● სუბსიდიები	107 840
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	7188 800
I ხარჯები	6668 800
● საქონელი და მომსახურება	3302 960
● სხვა ხარჯები	3365 840
II არაფინანსური აქტივების ზრდა	520 000
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	2800 000
I ხარჯები	2700 000
● სუბსიდიები	1840 000
● გრანტები	60 000
● სხვა ხარჯები	800 000
II არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის ოქმი #8 გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში:

1. **დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. ფაკულტეტზე დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია."

2. **დებულების მე-6 მუხლის „ე" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან ერთად შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს."

3. **დებულების VI თავი ამოღებულ იქნეს.**

4. **დებულების მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.**

5. **დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) დოქტორანტთა სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება და სემინარების ორგანიზება;"

6. **დებულების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებით, ასევე ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, სადოქტორო პროგრამებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით."

7. **დებულების 28-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"10. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით."

8. **დებულების 28-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„13. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით."

9. **დებულების 28-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"14. გასაუბრება შეფასდება სამი კრიტერიუმით: განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა), მოტივაცია, კვლევითი პროექტის პრეზენტაცია. თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე, ხოლო საბოლოო შეფასება მოხდება სამივე კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს."

10. **დებულების 28-ე მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„15. კონკურსის შედეგების საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და დოქტორანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე თსუ-ს მიერ გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მენცირებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 11 ივნისის ოქმი #9 გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მენცირებათა ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებსა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებთან ერთობლივად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას;".

2. დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ე^1 -ე^4 ქვეპუნქტები:

,,ე^1) შეიმუშავებს დოქტორანტურის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ აკადემიურ საბჭოს;
ე^2) ამტკიცებს დოქტორანტურაში მიღებისას დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმებს;
ე^3) დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას, მის თავმჯდომარეს და მდივანს;
ე^4) სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის ხელმძღვანელსა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურს;".

3. დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,, ჟ^3" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ჟ[3]) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საატესტაციო კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე;“.

4. დებულების მე-11 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,3[1]“ პუნქტი:

,,3[1]. დეკანი სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიასთან კონსულტაციით განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.“

5. **დებულების V თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,თავი V
ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიები“

6. დებულების მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 18. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების სტატუსი და არჩევა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დელეგირებული აქვს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საბჭოს დებულებით ფაკულტეტის საბჭოსთვის გათვალისწინებული უფლებამოსილებები, გარდა აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებისა.
2. სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიები შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან. თუკი დარგის/სპეციალობის პროფესორების და ასოცირებული პროფესორების საერთო რიცხვი 5-ზე ნაკლებია, სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის შემადგენლობა შეიძლება შეივსოს მოწვეული წევრებით. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მოწვეული წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მეცნიერი, რომელსაც გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი დარგის სამეცნიერო ნაშრომები, რომელთაგან ერთი მაინც გამოქვეყნებულია დადებითი ''იმპაქტ ფაქტორის'' (ISI Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონე ჟურნალში.

6. სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს ჰყავთ თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც აირჩევიან კომისიის შემადგენლობიდან კომისიის პირველ სხდომაზე. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.“

7. დებულებას მე-18 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 18^1 -18^2 მუხლები

,,მუხლი 18^1. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მუშაობის წესი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიები თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ს წესდებით, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებების შესაბამისად.
2. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით.
3. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 18^2. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის უფლებამოსილებები

1. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
2. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
3. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიასთან შეთანხმებით შეარჩევს დაცვის სავარაუდო თარიღს და დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
5. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის საქმიანობის სხვა დეტალები განისაზღვრება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
6. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია ან/და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია (როგორც წესი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის სახით) ესწრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას აღნიშნულ დარგში დოქტორის ხარისხის მინიჭებისას.“

8. დებულების 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

9. დებულების 33-ე მუხლის ბ) პუნქტის შემდეგ დაემატოს გ) პუნქტი შემდეგი რედაქციით:

გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საფაკულტეტო ცენტრი

10. დებულების მე-40 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

19. დოქტორანტობის კანდიდატი უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გადის გასაუბრებას ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილ კომისიასთან ან შესაბამისი დარგის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიასთან. თუკი შესაბამისი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში დოქტორანტი აბარებს გამოცდას დადგენილი წესით.

11. დებულების XIII თავი ამოღებულ იქნას.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5
დანართი №7

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (შემდგომში – „ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც არ ერთიანდება უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძირითადი საქმიანობაა ფონდებად ორგანიზებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ისტორიულ-კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის მასალებისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვა, უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების სასწავლო და სამეცნიერო ინფორმაციული მომსახურებით უზრუნველყოფა, ინოვაციური საინფორმაციო და საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების და მომსახურების განვითარება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა შედგება სამი სივრცისგან, თითოეულ მათგანს აქვს წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, საკონფერენციო, სამუშაო და ტექნიკური სივრცეები. ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსი მდებარეობს მისამართზე. თბილისი მ. ალექსიძის II შეს, N3, ტექნიკური დოკუმენტაციის და საპატენტო მომსახურების სივრცე - ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 45/47, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი - ქ. თბილისი, ალგეთის შეს.1.

მუხლი 2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობის სფერო, ძირითადი მიზნები და ფუნქციები

1. საქართველოში მეცნიერების, განათლებისა და ტექნოლოგიების განვითარება, მათი წინსვლისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების, დაცვის, ანალიტიკური–სამეცნიერო დამუშავებისა და გავრცელების, ოპტიმალური სამეცნიერო–საკომუნიკაციო გარემოს ჩამოყალიბების გზით.

2. მომხმარებელთათვის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის და ბიბლიოთეკის სამეცნიერო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით).

3. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილება.

4. სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ტექნიკური ინფორმაციის რესურსების მიღება, შეგროვება, დაცვა, დამუშავება, პოპულარიზაცია და გამოცემა.

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით თანამშრომლობა, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიბლიოთეკებთან, საინფორმაციო ცენტრებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. ამ სფეროში ლიდერის პოზიციის დამკვიდრება.

6. მომხმარებლისთვის სასურველი და ქვეყნის საუკეთესო საინფორმაციო რესურსების ფონდის განვითარება (შევსება, დაცვა, ორგანიზაცია, დიგიტიზაცია) მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნებისმიერ ფორმატში (ბეჭდურ, ელექტრონულ, ხელნაწერ თუ სხვა). აღნიშნული ფონდის, როგორც ქვეყნის ეროვნული მემკვიდრეობისა და სიამაყის, დაცვა;

7. მომხმარებლის საინფორმაციო მომსახურება, მისი მაქსიმალური კმაყოფილების მიღწევა არსებული რესურსებით, საბიბლიოთეკო დარგში და უნივერსიტეტში მოქმედი მომსახურების სტანდარტების დაცვით;

8. გარემოსა და მომსახურების ხარისხის მუდმივი განვითარება მომხმარებლებისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად;

9. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ფინანსური და სხვა ტიპის რესურსების მაქსიმალური მოზიდვა ბიბლიოთეკის მიზნების მისაღწევად;

10. მომხმარებლის მოზიდვა და მათთვის სასურველი სერვისების მუდმივი განვითარება;

11. სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და ბიზნესის სფეროს საინფორმაციო მოთხოვნებისა და შეთავაზებების სამეცნიერო ანალიზი;

12. თანამედროვე საინფორმაციო და საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების და მათი განვითარების ტენდენციების შესწავლა (ქვეყანაში და საზღვარგარეთ), მათი პრაქტიკული გამოყენება და ამ სფეროში რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებებისათვის;

13. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით პარტნიორ ბიბლიოთეკებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება;

14. მომხმარებელთა თანასწორუფლებიანობის დაცვა და ამავე დროს განსხვავებული კულტურული თუ საქმიანი მოთხოვნების გათვალისწინება;

15. ბიბლიოთეკის საინფორმაციო ფონდების პერიოდული შესწავლა, შემოწმება, ოპტიმიზაცია;

16. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების, სტანდარტების შემუშავება და ბიბლიოთეკის სამომხმარებლო სივრცეებში შესაბამისი დიფერენცირებული მოთხოვნებით მომხმარებელთა მომსახურება.

მუხლი 3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე;

4. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხას, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობების რაოდენობებს და მათ სახელფასო განაკვეთებს, წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შემადგენელ ნაწილს, წარადგენს დირექტორი და მტკიცდება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით.

5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის თანაშემწე, ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სპეციალისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, საწყობის გამგე, პროგრამისტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - სისტემური ადმინისტრატორი, დეპარატამენტის უფროსი, განყოფილების უფროსი, ჯგუფის უფროსი, წამყვანი სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი, პიარ მენეჯერი. მთავარი ინჟინერი, კომენდანტი, დარაჯი, დამლაგებელი, მებაღე, მრავალპროფილიანი მუშა, ელექტრიკოსი, პედაგოგი, მთარგმნელ - რედაქტორი, მკინძავი, ციფრული ფოტოგრაფია და სკანირების უფროსი სპეციალისტი, პროექტების მენეჯერი, კონსულტანტი, მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი და სხვა.

6. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს ბიბლიოთეკის დარგობრივ საბჭოებს და მათთან შეთანხმებით შეიმუშავებს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმებს, სტრატეგიას ყოველწლიურ

ბიუჯეტის გეგმებს, საშტატო ნუსხას, სტრუქტურას, დებულებას ან სხვა სამოქმედო დოკუმენტების პროექტებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციას.

დ) შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნის მიზნით (როგორც საშტატო ნუსხით გათვალისწინებული, ასევე შტატგარეშე) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ბიბლიოთეკის თანამშრომლების კანდიდატურებს;

ე) აცნობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის ერთეულს ბიბლიოთეკის სამუშაო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის თანამშრომელთა მიერ მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს, ვიზირებას უკეთებს და შემდგომი კომუნიკაციისათვის გადასცემს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) ამტკიცებს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმას და პერიოდულად განიხილავს ბიბლიოთეკის დეპარტამენტების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ზედამხედველობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ი) წარადგენს ანგარიშს ბიბლიოთეკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით.

კ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) კურირებს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხით განსაზღვრული „ფინანსური რესურსების განვითარების“, „გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების“ და „მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების“ დეპარტამენტების საქმიანობას;

გ) ბიბლიოთეკის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობას;

დ) ასრულებს, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორისგან მიღებულ ცალკეულ დავალებებს.

8. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას.

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილებებსა და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს.

გ) ამზადებს ჯგუფის ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს ბიბლიოთეკის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს.

დ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ბიბლიოთეკის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

ე) ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის/დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

ვ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

9. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას.

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს.

გ) ამზადებს განყოფილების ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს.

დ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის ან დირექციის ცალკეულ დავალებებს.

ე) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

10. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჯგუფის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის საქმიანობას.

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ჯგუფის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს.

გ) ამზადებს ჯგუფის ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს.

დ) ასრულებს დირექციის, დეპარტამენტის უფროსის და განყოფილების უფროსის ცალკეულ დავალებებს.

ე) პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

11. **ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარი ინჟინერი:**

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის საქმიანობას.

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს.

გ) ამზადებს დეპარტამენტის ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს ბიბლიოთეკის დირექტორს.

დ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ბიბლიოთეკის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

ე) ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

ვ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

12. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) ინფრასტრუქტურის სამსახური;

გ) მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტი:

გ.ა) სამეცნიერო და საცნობარო სერვისების განყოფილება;

გ.ბ) ტრენინგ - ცენტრი;

გ.გ) სამკითხველო დარბაზების მომსახურებისა და აბონემენტის განყოფილება;

გ.დ) სამეცნიერო - ტექნიკური თარგმანის ჯგუფი;

გ.ე) ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა - მუზეუმი;

გ.ვ) ტექნიკური დოკუმენტაციისა და საპატენტო მომსახურების ჯგუფი;

გ.ზ) ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ჯგუფი.

დ) საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისა და დაცვის დეპარტამენტი:

დ.ა) კატალოგების მართვის განყოფილება;

დ.ბ) წიგნსაცავის განყოფილება;

დ.გ) ჰიგიენისა და რესტავრაციის ჯგუფი;

დ.დ) დაკომპლექტების განყოფილება;

დ.ე) დიგიტიზაციის ჯგუფი.

ე) ფინანსური რესურსების განვითარების დეპარტამენტი;

ვ) გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების დეპარტამენტი;

ზ) მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტი;

ზ.ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი.

13. ადმინისტრაცია:

შედგება: დირექტორის თანაშემწის, ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სპეციალისტის, ბუღალტერის, საწყობის გამგის, ხარისხის მართვის მენეჯერის და პროგრამისტისაგან.

14. ინფრასტრუქტურის სამსახური

1. ინფრასტუქტურის სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი ინჟინერი და შედგება შემდეგი პერსონალისაგან: კომენდანტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - სისტემური ადმინისტრატორი, დარაჯი, დამლაგებელი, მებაღე, მრავალპროფილიანი მუშა, ელექტრიკოსი.

2.სამსახურის ფუნქციებია:

ა) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობებისა და აქტივების მოვლა-პატრონობა, შენახვის უზრუნველყოფა.
ბ) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ელექტრო, ვენტილაცია-კონდიცირების, წყალ-საკანალიზაციო და სხვა საკომუნიკაციო სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
გ) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;
დ) სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება და მართვა.

15. მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს მომხმარებლების მაქსიმალური კმაყოფილება ბიბლიოთეკის არსებული რესურსებით და მომსახურებით, მოქმედი სტანდარტების დაცვით;

ბ) სამუშაოების და პროცესების მიმდინარე ყოველდღიური/კვირეული დაგეგმვა;

გ) მომსახურების სტანდარტების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა;

დ) მომსახურების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების/ხარვეზების დროული გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

16. საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისა და დაცვის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს მომხმარებლისათვის სასურველ ფონდებზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური ზრდა და მათი უსაფრთხო პირობებში შენახვა;

ბ) მომხმარებლების საჭიროებების მიხედვით ფონდების მაქსიმალური მობილიზაციის უზრუნველყოფა;

გ) მობილიზებული ფონდების სწორი მართვა

დ) არსებული ფონდების რაც შეიძლება უსაფრთხო, დაცულ პირობებში შენახვის უზრუნველყოფა.

17. მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) რაც შეიძლება მეტი მომხმარებლის მოზიდვა და მათთვის სასურველი სერვისების მუდმივი განვითარება;

ბ) მიზნობრივი სეგმენტების მიხედვით მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების უწყვეტი გამოვლენა;

გ) მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების მიხედვით სერვისების მუდმივი განვითარება;

დ) ბიბლიოთეკის ბრენდის განვითარება და ცნობადობის მაქსიმალური ამაღლება.

18. გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს გარემოსა და მომსახურების ხარისხის მუდმივი განვითარება მომხმარებლებისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად;

ბ) გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების საჭიროებების და შესაძლებლობების მუდმივი გამოვლენა და იდეების გენერაცია;

გ) გარემოს და მომსახურების ხარისხის განვითარების პროექტების დროული დაგეგმვა, მართვა და ხარისხიანი განხორციელება;

დ) მიმდინარე რეჟიმში არსებული გარემოს ექსპლუატაცია და მოვლა.

19. ფინანსური რესურსების განვითარების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს შემოსავლების და სხვა ტიპის რესურსების მაქსიმალური მოზიდვა;

ბ) ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვის წყაროების მუდმივი გამოვლენა;

გ) დონორებისთვის პროექტების მაღალი ხარისხით და დროულად მომზადების უზრუნველყოფა;

ე) დონორებთან და ფონდებთან გრძელვადიანი ურთიერთობის განვითარება.

მუხლი 4. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომხმარებელი

1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს;

ბ) სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს;

გ) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეს;

2. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის მომხმარებელი რეგისტრირდება როგორც: ინდივიდუალური წევრი, კოლექტიური წევრი.

3. რეგისტრაციის შემდეგ წევრს უფლება აქვს გამოიყენოს სარეგისტრაციო შეთანხმებით განსაზღვრული რესურსები და სერვისები.

4. კოლექტიურ წევრთან ურთიერთობას განსაზღვრავს სპეციალურად შემუშავებული ხელშეკრულება, რომლის პირობები გავრცელდება ამ წევრის ყველა წარმომადგენელზე;

5. არასრულწლოვანი პირი რეგისტრირდება მშობელი/კანონიერი წარმომადგენელთან ერთად.

მუხლი 5. სარეგისტრაციოდ მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს

1. უნივერსიტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა და დამხმარე პერსონალმა: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

2. ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან.

3. სტუდენტმა - ცნობა უნივერსიტეტიდან და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

4. წევრი ვალდებულია: შეატყობინოს ბიბლიოთეკას საკონტაქტო ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის, სახლისა და სამსახურის მისამართის და სხვა მონაცემების შეცვლის შესახებ.

მუხლი 6. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 7. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში შვიდი დღე არანაკლებ 60 საათი კვირაში;

2. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები განისაზღვრება ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმებით.

მუხლი 8. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 167/2018 5 ივლისი 2018 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 28 ივნისის №13094/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 ივლისის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილება.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

წარმომადგენლობითი ხაბჭოს ხუდომის ოქმი №5
დანართი №9

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 125/2018 14 მაისი 2018 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ქუთაისის სასწავლო ცენტრის 2018 წლის 11 მაისის №9481/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №11 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სხვადასხვა საგანმანათლებლო (სასერტიფიკატო) კურსების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტში განხორციელების გზით საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს გამოიყენოს

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა academic.council@tsu.ge E-mail

უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის;".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უნივერსიტეტების აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 134/2018 21 მაისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-IIს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 11 მაისის №9482/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მაისის №12 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
რეზიდენტი: +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 154/2018 18 ივნისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-Iს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 ივნისის №12146/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №15 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს წევრი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 158/2018 28 ივნისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-Iს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 ივნისის №12879/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ცენტრალური +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 159/2018 28 ივნისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-Iს) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 28 ივნისის №13121/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5
დაწართი №14

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 160/2018 28 ივნისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-IIს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 28 ივნისის №13107/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი +(995 32) 2 22 51 07 Fax
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 161/2018 28 ივნისი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-Iს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 23^2 მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 28 ივნისის №13107/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

ილია ჭავჭავაძის გამ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
რეგისტრაცია +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა academic.council@tsu.ge E-mail

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია-
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5
დანართი №16

N 13799/10

06/07/2018

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისა (თსუ-ს სარგებლობაში არსებული პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის 301 ერთეული ძირითადი აქტივი, ღირებულებით 161 346,27 ლარი. ამასთან, ჩამოწერის პროცედურების დასრულების შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონა იქნება 5725 კგ. (მათ შორის 5699 კგ. შავი ლითონი, 26 კგ. სპილენძი); თსუ-ს საკუთრებაში არსებული პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის 10 ერთეული ძირითადი აქტივი, ღირებულებით 21 038,00 ლარი. ამასთან, ჩამოწერის პროცედურების დასრულების შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონა იქნება 15 990 კგ. (შავი ლითონი)) და ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის (თსუ-ს საკუთრებაში არსებული ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის 39 ერთეული ძირითადი აქტივი, ღირებულებით 38 904,18 ლარი. ამასთან, ჩამოწერის პროცედურების დასრულების შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონა იქნება 744 კგ. (შავი ლითონი)) ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი რეალიზაციის საკითხები.

გთხოვთ, ხსენებული საკითხები შეიტანოთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

დანართი: 1 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალ. ჯაჯანაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ./ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chairadlery@tsu.ge; E-mail

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5
დანართი №17

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატი (შემდგომში - ,,აპარატი") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. აპარატი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
3. აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს (შემდგომში - ,,სადისერტაციო საბჭო") მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. აპარატის ფუნქციები

1. აპარატი ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.
2. აპარატი ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
3. აპარატი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლებთან (აპარატის სამდივნო) კოორდინირებული მუშაობით.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის მუშაობის წესი

1. აპარატი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს სადისერტაციო საბჭოს წევრებს.
2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც აპარატს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღისა.
3. სადისერტაციო საბჭოზე ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის 1 ეგზემპლარი ინახება აპარატში და შემდეგ გადაეცემა თსუ არქივს.

მუხლი 4. აპარატის სტრუქტურა

1. აპარატის სტრუქტურა შედგება აპარატის სამდივნოსა და აპარატს უფროსისგან.
2. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. აპარატის სამდივნო შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლებისგან, რომელთაც აპარატის უფროსს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი. სამდივნო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ფაკულტეტის დეკანის/აპარატის უფროსის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.
4. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით აპარატისათვის განსაზღვრული თანამდებობებაა აპარატის უფროსი.

მუხლი 5. აპარტის ხელმძღვანელობა

1. აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს აპარატის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს აპარატის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს აპარატის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს აპარატის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ე) ხელს აწერს აპარატის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) წარადგენს ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს სადისერტაციო საბჭოს დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით აპარატისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს აპარატის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, აპარატის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) შუამდგომლობს აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

კ) ახორციელებს სამდივნოს წევრებისათვის კონსულტაციის გაწევას;

ლ) აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს სადისერტაციო საბჭოს დავალებებს.

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აპარატის სამდივნო უზრუნველყოფს:

ა) თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შექმნილი შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგებას და სადისერტაციო საბჭოსათვის დასამტკიცებლად მიწოდებას.

ბ) სადისერტაციო საბჭოსათვის თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დანიშვნის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების დასამტკიცებლად მიწოდებას;
გ) სადისერტაციო საბჭოსათვის თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შექმნილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თაობაზე ფაკულტეტის დეკანის წარდგინების დასამტკიცებლად მიწოდებას
დ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებისა და დაცვის დოკუმენტაციის მოწესრიგებას და დისერტაციის შეფასებიდან 7 დღის ვადაში სადისერტაციო საბჭოსათვის დასამტკიცებლად მიწოდებას.

მუხლი 6. აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

აპარატის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი.